ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №11
2014 წლის 25 ივნისი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სიმბოლიკის (გერბის და დროშის) დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან შეთანხმებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გერბის და დროშის გამოსახულებები:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გერბის და დროშის გამოსახულებები, დანართი №1;
2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გერბის აღწერილობა, დანართი №2;
3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დროშის აღწერილობა, დანართი №3.

მუხლი 2

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების გამოყენება მოხდეს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დადგენილი წესით.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ამირან გიგინეიშვილი**